

რთულ წინადადებაში ზმინსართ-კავშირთა მართებულად
გამოყენების საკითხები

ჩვენი წერილის მიზანია იმ უზუსტობათა წარმოჩენა, რომლებიც ზოგი კავშირის თუ საკავშირებელი სიტყვის გამოყენებისას გვხვდება ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში.

I. სიტყვათა დალაგების საკითხი უმრავლესა და რთულ წინადადებაში
წყვილ კავშირთა ხმარებისას

რთულ თანწყობილ წინადადებაში შემაგალ ნაწილთა შეერთება ორგვარად შეიძლება: კავშირის მეშვეობით (მაგ.: „ზამთრის პირი მოახლოვდა, მაგრამ მაინც გაზაფხულის დღეები იდგა“, აკაკი), ან უკავშიროდ (მაგ.: „თოვლი ატირდა ლანქერად, პაპას გაუთბა ძვლებია, ქვეყანამ გამოიღვიძა, სიცოცხლე მოსწყურებია“, რ. ერისთ.).

რთული თანწყობილი წინადადების კავშირებია: და, მაგრამ, ხოლო, კი, ან — ან, ხან — ხან, არა მარტო — არამედ, არათუ — არამედ და სხვ. იგივე კავშირები შერწყმულ წინადადებაშიც გამოიყენება.

შერწყმულსა და თანწყობილ წინადადებაში კავშირი შეიძლება გვექონდეს ერთ ნაწილში (და, კი, ხოლო, მაგრამ...), ან ორ-ვეში (ან — ან, ხან — ხან, არა მარტო — არამედ...).

სწორედ ეს წყვილი კავშირებია ჩვენი მსჯელობის საგანი, ხშირად ამ წყვილ კავშირებში ერთ-ერთ ნაწილად წარმოდგენილია ხოლმე მაპირისპირებელი კავშირი არამედ. ის ცალკე არ იხმარება (თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით ძველ ქართულში მის ხმარებას მაგრამ-ის ფუნქციით). ახალ ქართულში არამედ წყვილდება უარყოფით ნაწილაკებთან (არა, კი არა, არათუ, არა მარტო...); ამ დაწყვილებით რამდენიმე კავშირი წარმოიქმნება. ეს წყვილი კავშირები ორი სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენება — ან დაპირისპირებას გადმოსცემენ, ან აჯგუფებენ წევრებს.

თუ არამედ კავშირთან დაწყვილდა არა მარტო, არათუ, არათუ — კიდევ, არამცთუ..., მაჯგუფებელ კავშირებს ვიღებთ. ესენია:

არა მხოლოდ — არამედ
არა მარტო — არამედ
არათუ — არამედ

არამცთუ — არამედ...
არათუ — არამედ + კიდევ (||-ც).

შინაარსი აქ ასეთი იქნება: არა მხოლოდ ეს, არამედ ისიც, ესეც და ისიც, ეს და აგრეთვე ის. მაგ.: მან მოგვიტანა არა მხოლოდ წიგნები, არამედ ძველი ყურნალებიც.

თუ არამედ-თან დაწვევილდა უარყოფითი ნაწილაკები: არ(ა), კი არ, კი არა, როდი,... მაპირისპირებელი ფუნქციის მქონე წყვილი კავშირები მიიღება:

არ — არამედ	კი არა — არამედ
არა — არამედ	როდი — არამედ...
კი არ — არამედ	

შინაარსი ასეთი იქნება: არა ეს, არამედ ის; ეს კი არა, ის. მაგ.: მან მოგვიტანა არა წიგნები, არამედ ყურნალები.

ან: მან წიგნები კი არ მოგვიტანა, არამედ ყურნალები.

ერთგვარ წევრთაგან პირველი გამოირიცხება იმ მოქმედების თვალსაზრისით, რომელსაც შემასმენელი გადმოგვეცემს. მას უპირისპირდება ამ შემასმენელთან დაკავშირებული მეორე წევრი (მოგვიტანა არა წიგნები, არამედ ყურნალები).

თუ შესაპირისპირებელი წევრები შემასმენლებია (მაგ.: კი არ წაიკითხა, არამედ ზებირად თქვა), მათგან პირველი შემასმენლით გადმოცემული მოქმედება გამოირიცხება, მეორე შემასმენლით გადმოცემული კი დასტურდება, სრულდება. ე. ი. გადმოიცემა აზრი, რომ ეს მოქმედება კი არ სრულდება, არამედ ის, სხვა, მეორე. მოქმედი პირი ამას კი არ სჩადის, არამედ იმას (კი არ წაიკითხა, არამედ თქვა)¹.

მაშასადამე, დასახელებული წყვილი კავშირები გამოიყენება როგორც თანწყობილ, ისე შერწყმულ წინადადებაში მაჩვენებელი ან მაპირისპირებელი ფუნქციით; მაჩვენებელი კავშირი აერთებს, მაპირისპირებელი კავშირი კი ერთმანეთს უპირისპირებს ერთგვარ წევრებს.

ორივე ტიპის წინადადებაში — შერწყმულშიც და რთულ თანწყობ-

1 ა. შანიძის აზრით, „არამედ რთული კავშირია (არა-მედ; მეორე ნაწილი მოიბოვება ვითარ-მედ-შიც, რომელიც ძველი ქართულის კუთვნილებაა). „არამედ“ მაშინ იხმარება, თუ საპირისპირო სიტყვას ახლავს უკუთქმითი ნაწილაკი (არ, ნუ), რომელიც ხშირად გაძლიერებულია კი-ს დართვით: კი არ, კი ნუ; ამგვარად მიღებულია საპირისპირო ცალკები: არა — არამედ, კი არ — არამედ, კი ნუ — არამედ“. იხ. მისი: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973 წ., გვ. 606. -მედ ნაწილსაც შლიან: -მე განუსაზღვრელი ნაწილაკი შეიძლება იყოს, დ კი და კავშირისაგან მოდიოდეს. ე. ი. არამედ — არა-მედ. იხ. ა. კიხირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ. 1969, გვ. 31.

ბილშიც — საერთო პრინციპი ამ კავშირთა მართებულად ხმარებისა ასეთია: კავშირი დასაჯგუფებელი წევრების მიმართ გარკვეულ ადგილს უნდა იჭერდეს წინადადებაში, სახელდობრ, შესაპირისპირებელი ან დასაჯგუფებელი წევრი უნდა მოსდევდეს კავშირს. ოღონდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს წევრი აუცილებლად კავშირის უშუალო მეზობლად უნდა იყოს. არა! მას შეიძლება უძლოდეს თავისი ამხსნელი სიტყვა ან სიტყვები. ძალიან ხშირად ასეთი წევრი შემასმენელია. კავშირსა და შემასმენელს შორის შეიძლება ჩაისვას — ე. ი. შემასმენელს შეიძლება უძლოდეს გარემოებები, ხოლო სახელით გადმოცემულ რომელიმე წევრს — თავისი განსაზღვრება. მაგალითად:

„ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, არა მარტო თავისი ფორმით, არამედ თავისი შინაგანი ღირსებებით (ილია).

ერთგვარი წევრებია: **ფორმით** და **ღირსებებით**. კავშირის ორი ნაწილიც სრულიად მართებულად მათ წინაა განლაგებული. ამ წევრებს კი წინ უძღვის (ე. ი. კავშირსა და ამ წევრს შორის მოქცეულია) მხოლოდ მათივე განსაზღვრებები (**შინაგანი** ღირსებებით, **თავისი** ღირსებებით, **თავისი** ფორმით).

თანამედროვე სალიტერატურო ენა ამ წესს იცავს, მაგრამ გვხვდება დარღვევებიც. განვიხილავთ ამ დარღვევათა რამდენიმე შემთხვევას. ავიღოთ ასეთი წინადადება:

[მხატვარი] საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ სარეკლამო საქმის არა მარტო შინაარსობრივი მხარე, არამედ ავამაღლოთ რეკლამის მხატვრული დონე („თბილ.“).

წინადადების პირველი ნაწილი — „მხატვარი საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ სარეკლამო საქმის არა მარტო შინაარსობრივი მხარე“ — ქმნის მოლოდინს, რომ მეორე ნაწილში ლაპარაკი იქნება რეკლამის სხვა მხარის გაუმჯობესებაზე, ე. ი. გაუმჯობესდება სარეკლამო საქმის შინაარსობრივი მხარეც და სხვა მხარეც. ამ შთაბეჭდილებას ქმნის **არა მარტო**-ს დასმა დამატების „შინაარსობრივი მხარის“ წინ (არა მარტო შინაარსობრივი მხარე), მაგრამ მეორე ნაწილში („...არამედ ავამაღლოთ რეკლამის მხატვრული დონეც“) უკვე ირკვევა, რომ აქ მაჯგუფებელი კავშირის ნაწილი (**არამედ**) **ავამაღლოთ** ზმნასთანაა მიმართებაში, ეს შემასმენელი უნდა დაჯგუფდეს პირველ შემასმენელთან, ამისთვის კი საჭიროა პირველი შემასმენელიც მოსდევდეს **არა მარტო** კავშირს, ე. ი. უნდა იყოს ასე:

[მხატვარი] საშუალებას იძლევა **არა მარტო** გავაუმჯობესოთ სარეკლამო საქმის შინაარსობრივი მხარე, **არამედ** ავამაღლოთ რეკლამის მხატვრული დონეც.

სხვა მაგალითი:

ეს მკვეთრად გააუმჯობესებდა არა მარტო ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დაძაბულობის შენელებასაც („კომ.“).

ერთგვარი შემასმენლებია: **გააუმჯობესებდა და ხელს შეუწყობდა კავშირებიც მათ წინ უნდა დაისვას გვექნება:**

ეს არა მარტო მკვეთრად გააუმჯობესებდა ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დაძაბულობის შენელებასაც.

შემასმენლებს აქ წინ უძღვის თავ-თავისი ამხსნელები — გარემოებები (**მკვეთრად, დიდად**), რაც ქართულ წინადადებაში სიტყვათგანლაგების წესებს შეესაბამება.

ასეთ წინადადებათა გასწორებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ზოგი რამ:

ჯერ ერთი, წყვილი კავშირები: **არა მხოლოდ — არამედ, არა მარტო — არამედ, არათუ — არამედ** ძველი ქართულიდანვე ნოყობებული საკმაოდ ხშირად სახმარი კავშირებია ახალ სალიტერატურო ენაში. მაგრამ დღეს ისინი უმეტესად მაინც წიგნის ენაში იხმარება. ცოცხალი მეტყველება კი ამჯობინებს პირველი ნაწილი **არა მარტო, არა მხოლოდ, არათუ**) შეცვალოს **კი არ, კი არა, კი ნუ, ნუ კი** ნაწილაკებით. ისინი ახალ სალიტერატურო ენაშიც უკვე ფართოდ გამოიყენება.

მეორე, ამ წყვილ კავშირებთან ერთად ხშირად გამოიყენება დამხმარე გამაძლიერებელი ნაწილაკები: **-ც, -ცა, კიდევ, აგრეთვე, და...**

წინადადებათა გასასწორებლად ამ ფაქტების გათვალისწინებაცაა საჭირო.

ერთ ჩვენს გაზეთში შეგვხვდა ასეთი წინადადება:

ეს მეთოდი განაპირობებს არა მარტო ყურძნის მოსავალს, არამედ საშუალებას გვაძლევს დავამზადოთ მაღალხარისხოვანი ღვინო („ახ. კომ.“).

წინადადება შერწყმულია შემასმენლების მიხედვით. ქვემდებარე მეთოდი, ერთგვარი შემასმენლებია: **განაპირობებს და გვაძლევს**. გაღმოსაცემია აზრი, რომ ეს მეთოდი კიდევ განაპირობებს რაღაცას და კიდევ გვაძლევს რაღაცას. ეს აზრი რომ ნათლად და გასაგებად იყოს ნათქვამი, საჭიროა ამ შემასმენელთა შესაბამისად დაჯგუფება, რაც მაჯგუფებელ კავშირებს **არა მარტო — არამედ**-ს აკისრია. მაგრამ კავშირისა და შემასმენლის გარკვეული მიმართება ხერხდება წინადადებაში სიტყვათა სათანადო განლაგებით — შემასმენელი უნდა მოსდევდეს კავშირს. აქ კი კავშირის პირველ ნაწილს (**არა მარტო**) მოსდევს სრულიად სხვა წევრი — დამატება (**არა მარტო ყურძნის მოსავალს**), რის გამოც წინადადების პირველი ნაწილი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მეთოდი განაპირობებს, გარდა

ყურძნის მოსავლისა, კიდევ რაღაც სხვასაც. აზრი რომ ნათლად გადმოეცათ, წინადადება ასე უნდა აეგოთ:

ეს მეთოდი **არა მარტო განაპირობებს** ყურძნის მოსავალს, **არამედ** [+აგრეთვე] საშუალებას **გვაძლევს** დავამზადოთ მაღალხარისხოვანი ღვინო.

ყურადღება მიიპყრო შემდეგმა წინადადებაშიც:

[დანადგარი] საშუალებას იძლევა მოკლე ხანში განვსაზღვროთ არა მარტო მათი რაოდენობა, არამედ გვეტყვის, რომელი კვანძის მოწესრიგებაა საჭირო („თბილ.“).

წინადადება შერწყმულია. ერთგვარი შემასმენლებია: **იძლევა** და **გვეტყვის**, წყვილი კავშირიც მათ წინ უნდა მოექცეს და გადმოსაცემი აზრი უკვე ნათლად და სწორად იქნება გადმოცემული. გვექნება ასე:

[დანადგარი] **არა მარტო იძლევა** საშუალებას მოკლე ხანში განვსაზღვროთ მათი რაოდენობა, **არამედ გვეტყვის** [+კიდევ], რომელი კვანძის მოწესრიგებაა საჭირო.

ან: [დანადგარი] **არა მარტო იძლევა** იმის საშუალებას, რომ მოკლე ხანში განვსაზღვროთ მათი რაოდენობა, **არამედ გვეტყვის** კიდევ, რომელი კვანძის მოწესრიგებაა საჭირო.

ან: [დანადგარი] მარტო მათი რაოდენობის მოკლე ხანში განსაზღვრის საშუალებას **კარ იძლევა**, **არამედ** იმასაც გვეტყვის, რომელი კვანძის მოწესრიგებაა საჭირო.

განვიხილოთ ასეთი წინადადება:

თქვენ მოხიბლეთ **არა მარტო** ამ დარბაზში მყოფნი, **არამედ** დაეუფლეთ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მცხოვრების გონებასა და გულს („თბილ.“).

ამ წინადადებაში დასაჯგუფებელია **მოხიბლეთ** და **დაეუფლეთ** შემასმენლები. წესის მიხედვით, ისინი კავშირების შემდეგ უნდა ეხმარათ. აქ კი **მოხიბლეთ** უსწრებს კავშირს (**მოხიბლეთ** არა მარტო აქ მყოფნი), ხოლო მოსდევს კავშირს (ე. ი. დასაჯგუფებელი წევრის ადგილას არის) სხვა წევრი, სახელდობრ, დამატება: **ამ დარბაზში მყოფნი**, რაც ქმნის მოლოდინს, რომ წინადადების მეორე ნაწილში მაჯგუფებელი კავშირის შემდეგ გვექნება მისი შესაბამისი წევრი; ასე: მოხიბლეთ არა მარტო ამ დარბაზში **მყოფნი**, არამედ სხვაგან **მყოფნიც**. მაგრამ ავტორს სხვაგვარი აზრის გადმოცემა სურს: ამ დარბაზში მყოფნიც მოხიბლეთ და საერთოდ მთელი რესპუბლიკის ყველა მცხოვრების გულსაც დაეუფლეთ. საქმარისია ერთგვარი შემასმენლები (**მოხიბლეთ — დაეუფლეთ**) მაჯგუფებელი კავშირების მომდევნოდ დავსვათ და წინადადება სტილისტიკურად გაიმართება, გვექნება:

თქვენ **არა მარტო მოხიბლეთ** ამ დარბაზში მყოფნი, **არამედ** დაეუფლეთ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მცხოვრების გონებასა და გულსაც.

გასასწორებელია სიტყვათა რიგი შემდეგ რთულ თანწყობილ წინადადებაშიც:

ნაშრომში მოცემულია არამართო უხვი... მასალა, არამედ ეს მასალა მეტ-ნიერული საფუძვლიანობით არის შესწავლილი და გაანალიზებული („ლიტ. საქ.“).

უნდა გადმოიცეს აზრი, რომ ნაშრომში უხვი მასალაცაა წარმოდგენილი და თანაც ეს მასალა შესწავლილი და გაანალიზებულიც არის. ამისათვის პირველი შემასმენელი (მოცემულია) კავშირის წინ არ უნდა ვიხმართ, ის უნდა მოსდევდეს არამართო კავშირს. გვექნება:

ნაშრომში არამართო მოცემულია უხვი მასალა, არამედ შესწავლილი და გაანალიზებულიც არის მეტნიერული საფუძვლიანობით.

ნათლად ვერ არის გადმოცემული აზრი შემდეგ წინადადებაშიც:

რუქა არამეტო უშრიანი და ბოროტია თავისი ბუნებით, არამედ ასეთივე თავისი მრწამსითაც (გრ. ბარამიძე, გ. ჯაქობია — „ქართ. ლიტ.“, VIII კლ.).

ე. ი. უნდათ გვითხრან, რომ რუქა ბოროტი და უშრიანია თავისი ბუნებითაც და მრწამსითაც. ამისთვის კი სიტყვები ასე უნდა დალაგდეს ამ წინადადებაში:

რუქა არამეტო თავისი ბუნებით არის უშრიანი და ბოროტი, არამედ ასეთივე თავისი მრწამსითაც.

შეიძლებადა არამეტო კავშირის ნაცვლად არამართო-ს გამოყენება:

რუქა უშრიანი და ბოროტია არამართო თავისი ბუნებით, არამედ მრწამსითაც.

კიდევ მაგალითი:

ამ სიძნელემ საბჭოთა სამეურნეო ორგანოების წინაშე დააყენა ამოცანა: არამართო მიმდინარე წლის გეგმების შესრულებაზე იზრუნონ, არამედ უნდა გადაფარონ წინა წლების დანაკლისიც („კომ.“).

შემასმენლები ამ წინადადებაშიც კავშირების მეზობლად უნდა განლაგდეს (არამართო იზრუნონ, არამედ გადაფარონ), უნდა ნაწილაკი მეორე შემასმენელთან ზედმეტია. გვექნება:

ამ სიძნელემ საბჭოთა სამეურნეო ორგანოების წინაშე დააყენა ამოცანა: არამართო იზრუნონ მიმდინარე წლის გეგმების შესრულებაზე, არამედ გადაფარონ წინა წლების დანაკლისიც.

ერთ სასკოლო სახელმძღვანელოში ასეთი წინადადება გვხვდება:

მოწეული მოსავალი საკმარისი იყო არამართო იმათთვის, ვინც ყანაში მუშაობდა, არამედ რჩებოდა მოსავლის ნამეტიც (ა. პ. კოროვიჩი, ძვ. მსოფლიოს ისტ. V კლ. 1980, გვ. 40. მთარგმნელი მ. მამფორია).

მოველით, რომ წინადადების მეორე ნაწილში ნათქვამი იქნება, კიდევ ვისთვის იყო საკმარისი მოწეული მოსავალი. მაგრამ სხვისი თქმა სურთ:

თურმე რჩებოდა მოსავლის ნამეტიც. ამ ორი ნაწილის აზრი რომ კარგად დავუკავშიროთ ერთმანეთს, სიტყვები ასე უნდა დავალაგოთ:

მოწეული მოსავალი არა მარტო საქმარისი იყო იმათთვის, ვინც ყანაში მუშაობდა, არამედ რჩებოდა კიდევ მოსავლის ნამეტი.

კიდევ ერთი წინადადება:

ქალიშვილები და ქაბუკები წარმატებას აღწევენ არამხოლოდ შრომაში, არამედ აქტიურნი არიან საზოგადოებრივ საქმიანობაშიც.

უნდა იყოს: ქალიშვილები და ქაბუკები ამხოლოდ აღწევენ წარმატებას შრომაში, არამედ აქტიურნი არიან საზოგადოებრივ საქმიანობაშიც.

ზოგჯერ უმართებულოდ იყენებენ მაჯგუფებელ წყვილ კავშირს არც — არც.

წესის მიხედვით, ეს კავშირიც ერთგვარი წევრების წინ უნდა განლაგდეს. მაგალითად, სავსებით მართებულად არის აგებული აკაკის ცნობილ ნაწარმოებში შემდეგი წინადადება:

ეს ლოთი მასწავლებელი ყურადღებასაც არ აქცევდა თავის საგნებს: არც ალგებრას, არც გეომეტრიას, არც ტრიგონომეტრიას და არც ფიზიკას (აკაკი).

თუ ერთგვარი წევრები ამ კავშირის შემდეგ კი არ ვინმარეთ, არამედ მის წინ, აზრი ბუნდოვანდება. ასეთი ვითარებაა შემდეგ წინადადებაში:

„კომპლიმენტური“ კრიტიკა გზას უთმობს ობიექტურ და გონივრულ კრიტიკას, როცა დავიწყებული არ არის არც ნაწარმოების კარგი და არც ნეგატიური მხარეა გაზვიადებული („ლიტ. საქ.“).

აქ არც — არც წყვილმა კავშირმა უნდა დააჯგუფოს ერთგვარი შემასმენლები: დავიწყებული არის, გაზვიადებული არის. ამისათვის საჭიროა ეს შემასმენლები კავშირების შემდეგ იყოს. აქ კი პირველი შემასმენელი არც კავშირის წინ დაუსვამთ (დავიწყებული არ არის არც ნაწარმოების კარგი), რითაც აზრის ნათლად გადმოცემა შეფერხებულია. როგორც კი ერთგვარ შემასმენლებს კავშირების შემდეგ დავსვამთ, წინადადება გაიმართება. გვექნება:

„კომპლიმენტური“ კრიტიკა გზას უთმობს ობიექტურ და გონივრულ კრიტიკას, როცა არც ნაწარმოების კარგია დავიწყებული და არც ნეგატიური მხარეა გაზვიადებული.

ასევე მჭიდრო ურთიერთობაშია დაპირისპირებულ წევრებთან მაპირისპირებელი წყვილი კავშირები.

განვიხილოთ ასეთი წინადადება:

[ვალაკტინონი] შემდეგში აქვეყნებს არა დეკლარაციებს ახალი ცხოვრებისადმი

თანაგრძნობის შესახებ, არამედ ორგანულად იბრძვის სინამდვილის კონკრეტული, უშუალო და მხატვრული ასახვისათვის (შ. რად.).

წყვილი მაპირისპირებელი კავშირია არა — არამედ. მისი პირველი ნაწილი (არა) წინ უძღვის დამატებას (აქვეყნებს არა დეკლარაციებს), ამიტომ მოველით, რომ მეორე ნაწილშიც მისი საპირისპირო წევრი გვექნება კავშირის შემდეგ (აქვეყნებს არა დეკლარაციებს, არამედ ლექსებს), მაგრამ უნდათ იმის თქმა, რომ გალაკტიონი იბრძვის სინამდვილის მხატვრული ასახვისათვის, ე. ი. წინადადების პირველ ნაწილში ყველაფერი რიგზე არ არის, არა უარყოფით ნაწილაც შემასმენელი უნდა მოსდევდეს (არ აქვეყნებს), მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ნათელი ამ ორი შემასმენლის შეპირისპირება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში არა ნაწილაცის გამოყენებას აჯობებდა კი არ გვეხმარა და მთელი წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა:

[გალაკტიონი] შემდეგში დეკლარაციებს კი არ აქვეყნებს, არამედ... იბრძვის სინამდვილის კონკრეტული, უშუალო და მეცნიერული ასახვისათვის.

წყვილ კავშირთა გამოყენებაში სიზუსტე ზოგჯერ სხვა მხრივაც ირღვევა: 1) როგორც ვთქვით, წყვილი კავშირი არა მარტო — არამედ აერთებს ორ წევრს და გადმოგვცემს შინაარსს: ესეც და ისიც, ორივე ერთად. ამიტომ მათთან -ც//—ცა ნაწილაც გამოიყენება. ამ ნაწილაცის გამოტოვება ზოგჯერ შეუძლებელია, ფრაზის სტილისათვის საზიანოა. მაგალითად:

[იგი] იყო არა მარტო ჩინებული მეტალურგი, არამედ კარგი აღმზრდელი, რომელმაც ქარხანას ბევრი მეფოლად აღუზარდა („ლიტ. საქ.“).

უნდა: იგი იყო არა მარტო ჩინებული მეტალურგი, არამედ კარგი აღმზრდელიც.

წმინდა გრაფიკული ხედვა შეერთებული საუცხოო ტექნიკასთან — ესაა არამხოლოდ ბუნების მომადლებული ნიჭი, არამედ დაყინებული ძიებისა და პროფესიული თვითდაოსტატების შედეგი („ლიტ. საქ.“).

უნდა: არა მხოლოდ ბუნებით მომადლებული ნიჭი, არამედ ...თვითდაოსტატების შედეგიც.

2) ერთ რაიონულ გაზეთში არამედ კავშირის ნაცვლად ხოლო კავშირი უხმარიათ. აი, ეს წინადადება:

ალექსი... ცხოვრობდა დედასთან და მამასთან, რომლებიც არ ყოფილან კოლმეურნეობის წევრები, ხოლო მუშაობდნენ ფოსტაში („გამარჯვ. დროშ.“).

უნდა: ცხოვრობდა დედასთან და მამასთან, რომლებიც კოლმეურნეობის წევრები კი არ ყოფილან, არამედ მუშაობდნენ ფოსტაში.

განალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: შესაპირისპირებელ ან დასაჯგუფებელ წევრთა დასმა მაპირისპირებელი თუ მაჯგუფებელი კავშირების წინ დაუშვებელია, რადგანაც ასეთი უმართებულო სიტყვათგანლაგება აზრს აბუნდოვანებს. შესაპირისპირებელი ან დასაჯგუფებელი წევრი უნდა მოსდევდეს კავშირს.

II. დარღვევები ბგერობრივად ან ფუნქციით მსგავს კავშირთა ხმარებისას

კავშირთა ხმარებაში დარღვევებს შეიძლება ხელს უწყობდეს ბგერობრივად მსგავსი კავშირების არსებობა. ფუნქციით განსხვავებული, მაგრამ აკუსტიკურად მსგავსი კავშირები ზოგჯერ აღრეულია.

1. ქვეწყობილი წინადადების კავშირი **როგორც** გამოყენებულია **როგორიც** კავშირის ადგილას, ან პირუკუ.

როგორც და **როგორიც** შინაარსობრივად, ფუნქციით განსხვავებული კავშირები, სრულიად განსხვავებული ტიპის წინადადებებში გამოიყენება: **როგორიც** განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების კავშირია, მთავარ წინადადებაში მისი კორელატია **ისეთი** (მაგ.: გააკეთა **ისეთი**, **როგორიც** იყო), ხოლო **როგორც** ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირია, მისი კორელატია **ისე** (მაგ.: გააკეთა **ისე**, **როგორც** სურდა).

როგორც ვთქვით, თანამედროვე სალიტერატურო ენაში ზოგჯერ გვხვდება ამ ორი კავშირისა და მათი კორელატების აღრევა, უმართებულო გამოყენება. მაგ.:

მე მსურს... ყველა ისეთივე მონა იყოს შენი, როგორც მე (ფ. ვაზ.).

კორელატი (**ისეთივე**) მიგვანიშნებს, რომ მთავარ წინადადებას ამხსნელად უნდა მოჰყვეს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება (როგორი ისეთივე?), მაშასადამე, წევრ-კავშირიც უნდა იყოს **როგორიც** და არა **როგორც** (ისეთივე მონა, როგორიც მე).

თქვენ ისეთივე უებრო მეოჯახე ბრძანდებით, როგორც მეომარი (წ. ლორთ.).

აქაც განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება გვაქვს და უნდა გვეტონდეს **როგორიც** კავშირი: ...ისეთივე... მეოჯახე, **როგორიც** მეომარი.

მას ამ საქმეში მხარი აუბა ისეთმა გამოცდილმა სპორტსმენმა, როგორც რ. აბუანაძე („ახ. კომ.“).

დამოკიდებული წინადადება აქაც ისევ განსაზღვრებითია. მას მთავარ წინადადებაში კორელატად აქვს **ისეთი**, ცხადია, უნდა გამოეყენებინათ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების კავშირი **როგორიც** და არა ვითარების გარემოებითი წინადადების კავშირი **როგორც**.

როგორც და **როგორც** კავშირების აღრევას, გარდა ბგერობრივი მსგავსებისა, ქვეშეცნეულად შეიძლება ხელს უწყობდეს შემდეგი: **როგორც** კავშირით მთავართან შეერთებული დამოკიდებული წინადადება უფრო მსგავსება-შედარებას გამოხატავს. „მთავარში ლაპარაკია იმაზე, თუ რა უნდა იქნეს შედარებული, დამოკიდებულში კი იმაზე, რასაც უნდა შევადაროთ... მაგ.: პირველი რიგი მტრის ჯარისა ისე დაემხო დედამიწაზე, **როგორც** ცელით ძირში მოჭრილი გამხმარი ყანა იქცევა ძირს (ი. გოგებ.)“².

ხოლო **როგორც** კავშირიანი წინადადების შესახებ მიუთითებენ, რომ ასეთი წინადადება ზოგჯერ რაღაც საერთოს ამჟღავნებს შედარებით კონსტრუქციასთან. ასეთ წინადადებებში **როგორც** კავშირის ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ **რომლის** (**—რომელ**) კავშირი, ოღონდ **მსგავსი**, **მსგავსად** შედარების სიტყვებთან შეხამებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სათანადო კონსტრუქციას საერთო აქვს შედარებითი წინადადების კონსტრუქციასთან. მართლაც, წინადადება: „ისეთი ტყე დავინახე, **როგორც** წარმოდგენილი მქონდა“ სხვანაირად ასე შეიძლება ითქვას: „ისეთი ტყე დავინახე, **რომლის მსგავსიც** წარმოდგენილი მქონდა“³.

მაშასადამე, სპეციალისტები მიუთითებენ ორივე ამ კავშირის შედარებით ფუნქციანზე.

როგორც კავშირის შედარების ფუნქცია შუა საუკუნეებიდან არის დადასტურებული სალიტერატურო ქართულში. მაგალითად:

მას ეგრე მოუვა, რ **ო გ ო რ ც** მას ქორის ბაზიერს მოუხდაო (ქილილ).
ისე შეასრულეთ, რ **ო გ ო რ ც** მაშინ მოგვეწეროს (დოკუმენტ. თაყაიშვ.).
ის დალოცვილი გვინახავდა, რ **ო გ ო რ ც** საკუთარ შვილებსა (ილია).

ახალ სალიტერატურო ქართულში კი მას დამატებით სპეციალური მნიშვნელობა განუვითარდა — „იმდენად შედარებას არ გამოხატავს, რამდენადაც იგივეობაზე მიუთითებს“. მაგალითად:

წინ მიუძღოდა ერთი დედა-კაკაბი, რ **ო გ ო რ ც** ბელადი (ვაჟა).
მაჩაბელი, რ **ო გ ო რ ც** შექსპირის მთარგმნელი⁴.

ეს იმის შესახებ, თუ რამ შეუწყო ხელი ამ აღრევას. მაგრამ დღევანდელ ქართულში ეს ორი კავშირი გამიჯნულია თავისი ფუნქციით, გამოყენების ფარგლებით და მათი აღრევა დაუსწავებელია.

ყურადღებას იპყრობს ამ კავშირებთან კორელატების აღრევაც.

² ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977, გვ. 374.

³ შ. ძიძიგული, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969, გვ. 260.

⁴ იქვე, გვ. 157, 160.

როგორ ადაც ქმარ-შვილს ვერ ვუღალატებ, აგრეთვე მეგობრობას ვერ ვუღალატებ (ლ. არღაზ.).

როგორ ადაც კავშირთან უნდა ვიხმაროთ ისევე კორელატი, გვექნება:

როგორ ადაც ქმარ-შვილს ვერ ვუღალატებ, ისევე მეგობრობას ვერ ვუღალატებ. ჩემი ცხოვრება სწორედ ისე წაიყვანე, როგორ ადაც აქამომდე მიმყავდა (ლ. არღაზ.).

ისე კორელატს როგორც კავშირი უნდა შევუხამოთ: ...ისე, ...როგორც აქამომდე მიმყავდა.

შინ მომუშავენი სარგებლობენ ყველა იმ უფლებებით, როგორც ადაც საწარმოს მუდმივი მუშაკები („განთიადი“).

თუ მთავარ წინადადებაში მსაზღვრელად ვიხმაროთ იმ ნაცვალსახელს, კავშირად რომლითაც უნდა გამოვიყენოთ. როგორც ადაც კავშირთან კი კორელატად უნდა ვიხმაროთ ისეთი. ე. ი. უნდა გვექონდეს ან ასე:

... სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომლითაც...
ან ასე: ...სარგებლობენ ყველა ისეთი უფლებით, როგორც...

ე. ი. განხილული კავშირები და შესაბამისი კორელატები ასე დაჯგუფდება:

როგორც — ისე(ვე)
როგორ ადაც — ისე(ვე)
როგორც — ისეთი(ვე)
როგორც ადაც — ისეთი(ვე)
რომლითაც — იმ(ავე)

2. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში გვაქვს ორი ბგერობრივად მსგავსი კავშირი ან და ანუ.

ან მაცალკეებელი კავშირია, მას ვხმარობთ მშინ, როცა ორი ერთგვარი წევრიდან არჩევა გვინდა გადმოვცეთ (მაგ.: „ან მოვიყვან იმ ცხენს, ან თავს შევწირავ შენს მეგობრობას“, აკაკი).

ანუ კი იგივეობაზე მიუთითებს (მაგ.: „ნიგვზები, ანუ... კაკლის ხეები... თავმომწონედ შლიდნენ შტოებს“, აკაკი).

მნიშვნელობით ასე მკვეთრად გარჩეული ეს ორი კავშირი მე-19 და მე-20 საუკუნის მხატვრული ლიტერატურის ენაში ზოგჯერ თითქოს აღრეულია. ამაში გარკვეულ როლს უნდა ასრულებდეს ტრადიცია. ან ძველ ქართულში არ გვექონდა, მას ცვლიდა ანუ, რომელიც სამი მნიშვნელობით იხმარებოდა: ან, ანუ და თუ.

მაგალითად:

ანუ=ან:

რომელმან დაუტევოს სახლი, გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამა, ანუ ცოლი, ანუ შვილი, ანუ ქუეყანა (მ. 12, 19).

ვინ არს დედაჩემი, ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი (მ. 12, 41).

ანუ=თუ:

რომელი უფროსს არს: ოქრო ანუ ტაძარი (მ. 23, 17).

მივსცეთ ანუ არა (მარკ. 12, 41). აქა ანუ იქი (ლ. 17, 25).

ანუ=ანუ:

მეფენი ქუეყნისანი ვითგან მიიღებენ ხარკსა ანუ ზურსა (მ. 17, 25).

შემდეგში **ანუ-ს** ფუნქციები შეიზღუდა: ერთი მხრივ, მას მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციაში **თუ** შეეცილა, ხოლო, მეორე მხრივ, **ანუ-ს** გამარტივებით მიღებული **ან** კავშირი იქნა გამოყენებული არჩევის გადმოსაცემად. თვით **ანუ-ს** კი მხოლოდ მაიგივებელი კავშირის ფუნქცია დაურჩა (რაც ძველად ყველაზე ნაკლებ ჰქონდა).

მე-19—მე-20 საუკუნეების მწერალთა მიერ ეს კავშირები, უპირატესად, თანამედროვე ნორმების შესაბამისად მართებულადაა ნახმარი, ე. ი. **ანუ** მაიგივებელი კავშირია და უღრის **ესე იგი-ს**.

ეგრეთ ჯოჯოხეთში არის ხოლმე რედაქტორი, რომლის ყურნალსაც საკუთარი კაპიტალი ანუ თანხა არა აქვს (ილია).

კობალას ისრის წვერი ანუ ზრო წაუხდა (ვაჟა) და სხვ.

მაგრამ იმავე მწერლებთან ხშირად გვხვდება **ანუ-ს** ხმარება **ან** კავშირის ფუნქციით, ზოგჯერ მის გვერდითაც. მაგალითად:

განა ქვეყანა შენ არავინ გყავს,
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი (ილია).

მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული,

ანუ ჰყავდეს რაში ცხენი (აკაკი).

ან არის სწორედ სალოსი,

ანუ ვიღაცა ლოთია (აკაკი).

და ვუჭვრეტ რა მე ჩემ ნავის რხევას,

ვუცდი ანუ მის, ანუ ზღვის ძღვევას (ილია).

რა მინდა ქვეყნად, რას ვეძებ,

ანუ რა საქონელი ვარ (შ. მღვიმ.).

მკითხა: „ძმაო, ვის დაეძებ

საითგან ხარ, ანუ ვინა“ (რ. ერისთ.).

ბრძოლა ხალხისთვის, ბრძოლა მტარვალთან,

ანუ სიყვდილი, ან გამარჯვება (ი. ევლ.).

თუ რა ოცნებით ანუ რა ფიცით

გაერთხმინა დი გურამიშვილთან (კ. კალ.).

შესაძლოა იფიქრონ, რომ ამ მაგალითებში **ანუ-ს** გამოყენება ლექსის საჭიროებითაა გამოწვეული — მარცვალთრაოდენობა აიძულებს ავ-

ტორს იხმაროს ორმაცვლიანი სიტყვაო. მაგრამ პროზაშიაც გვხვდება მსგავსი შემთხვევები:

მებატონის ხარჯი და ბეგარა არის ყოველ წლიე. ერთი კოდი პური, ანუ ქერი და ანუ ფეტვი (გრ. ორბ.).

საყვარელო ძმაო გრიგოლ! სიზარმაცეში ანუ უნდომობაში ნუ ჩამომართმევ ამდენ ხანს წიგნის მოუწერლობას (ნ. ბარათ.).

მორიგე პირს უნდა ეთქო ერთი მოთხრობა, ანუ ანდაზა, ანუ რაც უნდა რა ჩვენი საქართველოს ცხოვრებითაჲს (დ. ჭონქ.).

ათასჯერ თავებრუდახვევამდის ეძებდნენ ტაბიკს, ანუ კიდევ სხვა ურმის რომელიმე იარაღს (ა. ყაზბ.).

უნდა დამღვარიყო ვინმესთან ან ძიძად, ანუ მოჯამაგირედ (ლ. არდ.).

ანუ-სა და ან-ის პარალელური ხმარება შუა საუკუნეების ძეგლებში გვხვდება, რადგან ამ ეპოქაში უკვე ფეხმოკიდებულა ანუ-ს გამარტივებული სახეობა ან და ისინი ხშირად ერთმანეთის გვერდითაც იხმარებიან:⁵

ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვივლავ დანითა (ვ. ტ.).

ანუ მზე იყოს ქვეყანად, ან მთვარე პირ-გავსებული (ვ. ტ.).

ისე რომ, ანუ-ს ხმარება ან-ის ნაცვლად მე-19 და მე-20 სს. ლიტერატურიდან მოყვანილ მაგალითებში განვლილი ეპოქების ნორმის გადმონაშთია, მაგრამ ასეთი ხმარება თანამედროვე ენაში უკვე დაუშვებელია, რადგანაც ან-ისა და ანუ-ს ფუნქციები დღეს უკვე მკვეთრადაა გამოიჯნული: ან კავშირს რამდენიმესაგან ერთის არჩევის გადმოცემა აქვს დაკისრებული.

რამდენიმესაგან ერთის არჩევა თანამედროვე ქართულში ან-ის შემცველი სხვა კავშირებითაც გადმოიცემა.

ესენია:

ან — ან:

ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო (ანდაზა).

ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს შევწირავ შენს მეგობრობას (აკაკი).

სათევზაოდ დავდიოდი ხოლმე ან ყვირილაში, ან იზვარაში (აკაკი).

სიტყვა... მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება (ილია).

დაე, იტირონ დედათა შვილთა ლაშქარში წასვლაზე, ან ვისახელოთ, ან გავსწყდეთ ომში პირველად ჩასვლაზე (ვაჟა).

ან — და ან:

ან ახლა და ან აღარასოდეს (აკაკი).

ან ის უნდა იყოს და ან მე (აკაკი).

ან განშორება და ან სიკვდილი (აკაკი).

ან — ან არა:

ან აქ, მთიულეთს დავრჩები, ერთგულნი უმანი არიან,

⁵ შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, 1969, გვ. 38.

ან არა წვალ კახეთსა, თელავი მიყვარს ძალიან (ვაჟა).

და ან:

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა

და ან ცაზე ვარსკვლავები (აკაკი).

მამილო, ვისი აგებულა

და ან რათ ჰქვია მას ქოშის გორა (აკაკი).

ესე იგი, კავშირები: ან, ან — ან, და ან, ან — და ან, ან — ან არა...
უნდა ვინმართ, როდესაც არჩევას ვგულისხმობთ. ხოლო ანუ, — რო-
დესაც იგივეობა გვინდა გადმოვცეთ.

3. გვხვდება ბგერობრივად განსხვავებული, მაგრამ ფუნქციით მსგავსი კავშირების აღრევაც.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ზოგ წინადადებაში როცა კავშირის რაც კავშირით შეცვლის საჭიროებამ. ორივე ეს კავშირი (რაც და როცა) დრო-
ულობის გადმოსაცემად საკმაოდ ხშირად გამოიყენება დროის გარემო-
ებითი დამოკიდებული წინადადების სხვა კავშირთა გვერდით, მაგრამ
ისინი სხვადასხვაგვარ ნიუანსებს მიესადაგებიან.

რაც რა კავშირის -ც ნაწილაკდართული სახეობაა, მაგრამ ფუნქცი-
ით განსხვავდება მისგან: რა გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როცა მთა-
ვარი წინადადებით გადმოცემულ მოქმედებას უშუალოდ უძღვის, ოღონდ
აუ უსწრებს დამოკიდებული წინადადებით გადმოცემული მოქმედება,
მაგ.: თქვა რა ეს, წამოდგა = როგორც კი თქვა, წამოდგა, თქვა და წამოდ-
გა, თქმისთანავე წამოდგა. რაც კავშირი კი ამ ორი წინადადებით გადმო-
ცემულ მოქმედებათა შორის მეტ ინტერვალს გულისხმობს, მაგ.: ორი
დღეა, რაც აგადმყოფმა მოიკეთა.

რაც კავშირით შეერთებული დამოკიდებული წინადადება ასევე გვი-
ჩვენებს, რომ დამოკიდებულში გადმოცემული მოქმედება წინ უსწრებ-
და და იყო ერთგვარი ბიძგი თუ დასაწყისი მთავარში გადმოცემული
მოქმედებისა. მაგ.: რაც აქ ჩამოვიდა, მოიკეთა.

როცა//როდესაც კავშირებით დაწყებული დამოკიდებული წინადა-
დება მთავარ წინადადებაში გადმოცემულ მოქმედებას აზუსტებს დრო-
ის თვალსაზრისით — დამოკიდებული წინადადებით გადმოცემული მოქ-
მედება თანადროულია მთავრით გადმოცემული მოქმედებისა, ეს ორი
მოქმედება ერთდროულად ხდება. მაგ.:

როცა დავითი შინ მივიდა, საღამო ხანი იყო (საღამო ხანი იყო როდის? როცა და-
ვითი შინ მივიდა).

ისინი ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც ჰაერში გაისმა მხიარული სიმღე-
რის ხმა (ა. უაზბ.). (იყვნენ როდის? როდესაც ხმა გაისმა).

ასეთი ნიუანსის გამო **როცა** კავშირის გამოყენება ყოველთვის მარჯვე როლია, ყოველ კონტექსტს როლი მიესადაგება. სახელდობრ, თუ მთავარში გვაქვს იმის შემდეგ, ცხადია, ერთდროულობის გადმომცემი **როცა** ან **როდესაც** კავშირი დამოკიდებულში არ გამოგვადგება, რადგანაც იმის შემდეგ შემდგომადობას, დროში თანამიმდევრობას გულისხმობს და არა თანადროულობას, ერთდროულობას.

ამდენად, გასასწორებელია შემდეგი წინადადებები:

მხოლოდ იმის შემდეგ, როცა კართაგენელები დასუსტდნენ შიმშილისა და ავადმყოფობისაგან, რომელებმა შეძლეს შეჭრილიყვნენ ქალაქში („ძველი მსოფლიოს ისტორია“).

ე. ი. რომაელების შეჭრას წინ უსწრებს კართაგენელების დასუსტება, თანაც ეს მათი დასუსტება ერთგვარი წინაპირობაა იმისა, რომ რომაელები ქალაქში შეჭრილიყვნენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომაელების მოქმედების (ქალაქში შეჭრა) დაწყება შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ კართაგენელები დასუსტდნენ.

ასეთი შინაარსის გადმოსაცემად დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში უნდა ვიხმაროთ **რაც** კავშირი.

როგორც განმარტავენ, **რაც** კავშირით მთავართან შეერთებული დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების დასაწყისს, მთავარი კი გვიჩვენებს, თუ რა მოხდა დამოკიდებულ წინადადებაში დასახელებული მოქმედების შემდეგ⁶.

ე. ი. უნდა იყოს: მხოლოდ იმის შემდეგ, **რაც** კართაგენელები დასუსტდნენ... რომაელებმა შეძლეს შეჭრილიყვნენ ქალაქში.

ასეთივე შემთხვევაა შემდეგ წინადადებებში:

იმის შემდეგ, როცა ავადმყოფს განმეორებით პირიდან ასაქმებს, ყველა მოეღენა მალე ცხრება (ლ. ანჯაფ., გ. მხ.).

უნდა იყოს: იმის შემდეგ, **რაც** ავადმყოფს განმეორებით პირიდან ასაქმებს...

გზაჯვარედინზე მოძრაობის უფლება არ ეძლევა სატრანსპორტო საშუალებას გზაჯვარედინთან მისულს იმის შემდეგ, როცა შემხვედრი სატრანსპორტო საშუალება შევიდა გზაჯვარედინის საზღვრებში („ავტომობილების მოძრაობის წესები“).

გარდა იმისა, რომ ამ წინადადების სტილი საერთოდ მძიმეა, **როცა** კავშირიც უმართებულოდაა მოხმობილი. უნდა იყოს: იმის შემდეგ, **რაც**... შევიდა...

⁶ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977, გვ. 366.

უზუსტობანი გვხვდება საკორელაციო სიტყვების გამოყენებაშიც.

ა) კორელატი და კავშირი ადგილს უცვლიან ერთმანეთს.

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ერთ-ერთ კავშირად გამოიყენება **სანამ** ზმნისართი, ნიშნავს: რა დრომდისაც. მის კორელატად წთავარ წინადადებაში **მანამ** ზმნისართი იხმარება. **მანამ**=იმ დრომდე.

ე. ი. ეს ორი მკავშირებელი სიტყვა ერთად ქმნის ასეთ გაგებას: რა დრომდისაც... იმ დრომდე.

მაგ.:

ს ა ნ ა მ თონე ცხელია, პური მ ა ნ ა მ ჩააკარია (ანდაზა).

ს ა ნ ა მ ჩვენი ჩვენი იმდენი არ გვექნება... რომ სხვის თავდაუქვრელად ვიცხოვროთ, მ ა ნ ა მ ჩვენი განთავისუფლება განთავისუფლება არ არის (დ. ქონქ.).

მ ა ნ ა მ ც გიყენისით, ს ა ნ ა მ ცოცხალ ვაჟის იარაღი ვერ დააყრვენიოთ (ა. ყაზბ.).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **სანამ** ზმნისართში **სადა**-სთან შეპირისპირებით გამოიყოფა **-ნა** ელემენტი (სა-და — სა-ნა-მ), ისევე, როგორც სხვა ზმნისართებში: **ზე-და//ზე-ნა, ქვე-და//ქვე-ნა, ში-და//ში-ნა, გარ-და//გარ-ნა, ვი-დ-რე//ვი-ნ-ე-მ. -და// -ნა** ძველი ფორმანტებით გაფორმებული ეს პარალელური ფორმები ახალ ქართულს შემორჩა, მაგრამ სემანტიკური დიფერენციაცია მათ შორის უთუოდ იგრძნობა (მდრ.: **ზედა** ქვა და **ზენა** ქარი: **სადამდის** და **სანამდის**)⁷.

ა. შანიძე ამ ზმნისართების შემდეგ ეტიმოლოგიას იძლევა:

სანამ: სადამდის→სანამდის→სანამდი→სანამ

(ან: სადამდე→სანამდე→სანამ)

მანამ: მუნამდის→მანამდის→მანამდი→მანამ

(ან: მუნამდის→მინამდი→მინამ)⁸.

„ზოგიერთი ზმნიზედა თავდაპირველად ადგილს აღნიშნავდა, შემდეგ კი დროის აღსანიშნავად იქნა გამოყენებული.

მუნ იმასვე ნიშნავდა ძველად, რასაც დღევანდელი **იქ**. ვითარებით ბრუნვაში დასმით და **-მდე** (**-მდის**) თანდებულის დართვით მიღებული იყო ფორმა **მუნა[დ]მდე** (ან: **მუნა[დ]მდის**), რაც ამას აღნიშნავდა: იმ დრომდის...

„სადამდე“-ს გავლენით „მუნამდე“-ს პირველი ხმოვანი **ა**-დ იცვალა და მივიღეთ **მანამდე** (ან: **მანამდის**), რომელსაც მხოლოდ დროული გაგება აქვს.

⁷ ე. თ. ფ. უ რ ი ა, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში,

იქვე, V, 1953, გვ. 526.

⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები თბ., 1973, გვ. 607.

მანამდე-ს გავლენით სადამდე-მ თანხმოვანი გადაიკეთა და აგრეთვე დროული გაგება შეიძინა⁹.

ე. ი. ა. შანიძის აზრით, **სანამ** მიღებულია **მუნამდის** ფორმისგან, **სა-ნამ** — **სანამდის** ფორმისგან.

შ. ძიძიგური კავშირებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში სხვა მრავალ კავშირთან ერთად იხილავს **სანამ** და **მანამ** კავშირებსაც.

სანა//სადა-ს განხილვისას იგი იმოწმებს ა. ჩიქობავას აზრს: **სა-ნ-ა** სიტყვაში შესაძლებელია იგივე **ნ** გვაქვს, რომელიც მოცემულია **ვინ** სიტყვაში¹⁰.

ხოლო **მა-ნ-ა-მ** ასე ანალიზდება: **მა-** იგი ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვათა ფუძეა; **ნ** მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია, **მ** -**მდის** თანდებულის ნაშთია, ე. ი. **მანამ** ← **მანამდის**. ამ ვარაუდს, ავტორის აზრით, მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ „მართლაც **მანამ**-ის ბადალია ფართოდ გავრცელებული თანდებულიანი კავშირი: **მანამდის** — **მანამდი** — **მანამდე**“¹¹.

მხატვრული ლიტერატურის ენაში ამ საკავშირებელ სიტყვათა ხმარებაში შეინიშნება სხვადასხვა სახის დარღვევები:

1. დასტურდება **სანამ** კავშირისა და **მანამ** კორელატის ადგილგადანაცვლება. მთავარ წინადადებაში მოექცევა **სანამ** და დამოკიდებულში — **მანამ**.

მ ი ნ ა მ ს ტ უ მ რ ი ს მ კ ე ლ ე ს ა რ მ ო ჰ კ ლ ა ვ ს , უ ნ დ ა ი ა რ ო ს ს ა ნ ა მ დ ე (ვ ა უ ა) .

თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ეს დაუშვებელია.

2. ზოგჯერ დიალექტურ ფორმებს იყენებენ, **სანამ-მანამ**-ის ნაცვლად ხმარობენ **სანამ** — **სანამ**, ან **მანამ** — **მანამ**-ს, ე. ი. ან კორელატი (**მანამ**) შეცვლილია კავშირით, ან კავშირი (**სანამ**) შეცვლილია კორელატით.

მაგალითად:

ს ა ნ ა მ ნ ა ე შ ი დ ა გ ო დ რ ე ბ შ ი ა რ გ ა მ ო ი ლ ი ა ყ უ რ ძ ე ნ ი , ს ა ნ ა მ ა რ წ ა ს უ ლ ა ს ა მ ტ ვ რ ე - ვ ა დ (თ . რ ა ზ ი კ .) .

ს ა ნ ა მ ი ც ო ც ხ ლ ე გ ო გ ო თ უ რ ,
ს ა ნ ა მ ც ა ს ა ს დ ი ს ნ ა მ ი ა ,
ს ა ნ ა მ მ ზ ე ა თ ბ ო ბ ს ქ ე ე ყ ა ნ ა ს ,
დ ი ლ ა - ს ა ლ ა მ ო ს ყ ა მ ი ა ,
ს ა ნ ა მ ტ ყ ე ს ე ს ხ მ ი ს ფ ო თ ო ლ ი ,
მ ი წ ა ა მ ც ე ნ ე ბ ს მ წ ვ ა ნ ი ლ ს ა ,

⁹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 597.

¹⁰ შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, გვ. 398—399; არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თსუ შრომები, X, 1939, გვ. 166.

¹¹ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 399.

ს ა ნ ა მ ჯინჯველა ქალაქით
ზურგით მაიტანს მარილსა (ვაჟა).

მ ი ნ ა მ მას ცხვირში არ მოხვდება, მ ა ნ ა მ არ მოვა გონსა (ვაჟა).

სიციცხლე მ ა ნ ა მ დე უღირს კაცსა, მ ა ნ ა მ იმის ქვეყანა რასმე გამოელის (ვაჟა).

მ ი ნ ა მ მწყერები ბუღობენ, მ ი ნ ა მ დ ი ნ მონადირეს ხელთა ჰყავს მიმინო (ილია).

ეს ფაქტი დიალექტის შემონატანია და სალიტერატურო ენისათვის მიუღებელია.

3. სალიტერატურო ენაში სრულიად ბუნებრივია **სანამ** კავშირის ხმა-რება ცალად, კორელატის გარეშე.

მაგალითად:

მ ა ნ ა მ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო (ანდაზა).

ს ა ნ ა მ სწორი ჯოხი არ იპოვო, მრუდეს ნუ გადაადგებო (ანდაზა).

მ ა ნ ა მ შენთან მოვიდოდე, ერთხელაც არ დავიკვნესე (შ. მღვიმ.).

არ შეგაწუხებ, ს ა ნ ა მ ცოცხალი ვარ (აკაკი).

მაგრამ აღარ არის ბუნებრივი ცალად ნახმარი **მანამ** კორელატი, ისიც არა მთავარ წინადადებაში, არამედ დამოკიდებულში, ე. ი. **სანამ** კავშირის ადგილას:

მ ა ნ ა მ მიწდია ჰველადობს, ხევსურებს არა უშავს რა (ვაჟა).

მ ა ნ ა მ სხვა იარაღს მოიხმარებდა, შიგ მარცხენა ძუძუში დამბაჩა დავეცი (ილია).

მ ა ნ ა მ დედა ცოცხალი მყვანდა, სულ ალერსში ვყვანდი (ვაჟა).

მ ა ნ ა მ ეს მოხდებოდა, ოთარაანთ ქვრივი თითქო ღონეზე მოვიდა (ილია).

ესეც აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფაქტია. სალიტერატურო ენისათვის კი უმჯობესია ამ წინადადებაში **მანამ**-ის ნაცვლად **სანამ** იხმარებოდეს (**სანამ** მიწდია ბელადობს... **სანამ** სხვა იარაღს მოიხმარდა... და ა. შ.).

4. კიდევ უფრო ხვდება ყურს ისეთი შემთხვევები, როდესაც **სანამ** ნახმარია **მანამდის**, **მანამ** ზმნისართების ადგილას.

მაგალითად:

სონაჯან, ს ა ნ ა მ რამდენიმე ფრანციული სიტყვა დამიწერე ქართული ასოებით (ა. ცაგარ.).

ს ა ნ ა მ ვეცდები, ეგების მოვარჯულო (ა. ყაზბ.).

უფემიამაც ს ა ნ ა მ ტაბლა დაამზადა, ცხრილზე დაალაგა შვიდი პურის მარცვალი (თ. რაზიკ.).

ყმაწვილებო, დავუცადოთ... ს ა ნ ა მ მე დავთვალეირებ [სუფრას] (ა. ცაგარ.).

ს ა ნ ა მ მეც საბებოო ინსტიტუტს დავამთავრებ (ი. გულის.).

აქ საქმე გვაქვს არა ქვეწყობილი წინადადების კავშირთან, არამედ უფრო ზმნისართთან, რომელიც მოქმედების დროს გადმოგვეცემს, მაგრამ კარგად კი ვერაა შერჩეული.

რაკი **სანამ** და **მანამ** სემასიოლოგიურად გაირჩევა (**სანამ**=ვიდრე, რა დრომდისაც, **მანამ** იმ დრომდე), აქ უნდა ეხმარათ **მანამდის**, **მანამ**, რადგან უნდა გადმოსცენ: იმ დრომდე, სანამ ეს მოქმედება შესრულდება.

- იმ დრომდე ეფემიამ ტაბლა გააშადა.
- იმ დრომდე ვეცდები, ეგების მოვარჯულო.
- იმ დრომდის რამდენიმე... სიტყვა... დამიწერე...

ისე რომ, სტილსტიკურად უფრო გამართლებული იყო აქ **მანამდის** **ზმნისართის** გამოყენება.

საფიქრებელია, რომ ასეთ შემთხვევებში ამ კავშირთა თუ ზმნისართთა უმართებულოდ ხმარებაში წილი უდევს რთულ წინადადებაში არსებულ დარღვევებს — მათი ადგილების თუ როლების შენაცვლებისას.

5. **სანამ//მანამ** ზოგჯერ შეგვხვდება ისეთ შემთხვევაში, სადაც **ვიდრე** კავშირი უფრო მარჯვე იქნებოდა.

მაგალითად:

ჩემს სიკვდილს უფრო მალე ჰნახავ, **ს ა ნ ა მ** მაგისას (ა. ყაზბ.).

იმისათვის რომ შეგეხედათ, უფრო სალაშქრო სამზადისში იყვენ, **ს ა ნ ა მ** ხატობად მიმავალნი (ა. ყაზბ.).

[იმედო] უფრო იმათს ისმენდა, **ს ა ნ ა მ** თავისას ამბობდა (ზაჩანა).

არაბულს რომ ვკითხულობდე, უფრო გავიგებდი, **მ ა ნ ა მ** თქვენ ნაწერს (რ. ერისთ.).

[შვილები] თავისის აგებულებით უფრო ჰგვანდნენ ჩამომხმარს დედას, **მ ა ნ ა მ** დათვივით გაფუნდრუტებულს... მამას (ეკ. გაბ.).

[შიოს] ბარბატის მიზეზი ის სანოვავით სავსე ხელსახოცი იყო, **მ ა ნ ა მ** სიმთვრალე (ეკ. გაბ.).

ცხადია, ყველა ამ ფრაზაში უმჯობესი იქნებოდა **ვიდრე** კავშირის გამოყენება.

6. **სანამ/მანამ**-ის **სინამ/მინამ** სახეობაც გვხვდება, მაგალითად:

[ბავშვებმა] კაი ხანს ირბინეს, **ს ი ნ ა მ** ქანცაწყვეტილები არ დაეყარნენ ერთ პატარა ბუჩქის ძირას (ნ. ლომ.).

ხელავს მეფე, რომ ჯარი დაუნახევრდა და, **ს ი ნ ა მ** მტერს მიადწევს, ერთი კაციც არ შერჩება (ი. გედევ.).

მ ი ნ ა მ ბულბული არ გაათავებდა გალობას, ...დედაშენი სმენად იყო გადაქცეული (ვაჟა).

7. **სანამ** და **მანამ** გვხვდება -მდე თანდებულის სხვადასხვა სახეობით:

სანამ//სანამდე//სანამდის//სანამდი//სანამდინ//სანამდისინ; მანამ//მანამდე//მანამდის//მანამდე//მანამდინ//მანამდისინ.

მაგალითად:

სანამდე:

ს ა ნ ა მ დ ე უნდა ვითმინოთ? (შ. დად.).

სამარისაკენ მიმავალ გზამდე

გაეყვები დაფნით და ყვავილებით,

მაგრამ როდემდის, მაგრამ სანამდე (გ. ტაბ.).

სანამდე:

სანამდე სოფელში ვიზრდებოდი, სრულიად ბუნებრივად ვიყავი (აკაკი).

თქვენ არ მომიკვდეთ, ფეხიც არ მოვიცვალოთ აქედან, სანამდე არ გამოი-
ლიძებეს (აკაკი).

სანამდე შემეძლო, ჩემი ქალობა და ჩანი იმის გაზრდას გადავატანე (ე. ნინოშვი.).

სანამდის:

[ბაში-აჩუქი] ცოლშვილის მოკიდებას არ აპირებდა, სანამდის წერეთელი არ
მოკვდა (აკაკი).

სანამდის არ აგრილდება, კარში არ გავიშვებო (აკაკი).

სანამდის სული მიდგია, მანამდის შეუპოვრად ვიომებ (მ. ჭავჭავ.).

სანამდისინ:

ნახათ ვინც მოესწრებით, სანამდისინ მივა ეს ენის არეულობა (ილია).

მანამ:

მანამ აქ შემოხვიდოდე, რად არ შეგქამა მიწა (ბაჩანა).

მანამ არ მოიცვლიდა ფეხს, ვიდრე არ დაანაყრებდნენ (რ. ვვეტ.).

ზაფხულში მანამ საზრდო ბლომად იყო და ლამაზად შეეძლო გამოკვებულობა,
ეშმაკობას მოუნდა (ვჟა).

მანამდე:

[შახ-აბაზი] მანამდე ეფერება შახნაფას, სანამ ესაჭიროება (აკაკი).

მანამდე:

თქვენც მანამდე ამოვილიდეთ, კარგს ინებებდით (დ. კლდ.).

მანამდე იმყვირა, სამან კუჭი არ მომაყვანია (აკაკი).

მანამდე თვალიც დადგომია (ნ. ლორთქ.).

მანამდის:

მანამდის არ გაიხაროს შენმა გვერდებმა, სანამდის შენ ირინეს ნამუსი ვერ
იყილო (აკაკი).

მანამდის მაწენის ქოთნებს დავამზადებ (შ. არაგვ.).

სანამ მე ცოცხალი ვიყო, მანამდის ხელს ნუ შეახებ სალაროს (რ. ერისთ.).

მანამდინ:

მე წავალ შინ, ურემს მოვიტან თევზების წასაღებად და მანამდინ აქ ყური
კარგად უგდე (ი. გოგებ.).

მანამდინ სწორედ ვერ დაგვიწყებ (რ. ერისთ.).

მანამდისინ:

ბევრჯერ გარემოება საზოგადო ასპარეზზედ ისეთ ცაცებს გამოაყენებდა, რომელ-
ნიც მანამდისინ არაფრით არ განირჩეოდნენ მეზობლებისაგან (ნ. ლორთქ.).

მანამდისინ კი თვითონ შევალ იმათ მთებშია და მოვიყვან მორჩილებასი
(ვ. ბარნ.).

მანამდისინ კი ყოველთვის ფიქრები გამიცრუვდება (ი. ევდ.).

სანამ/მანამ ძირითადი ფორმებია. რაც შეეხება თანდებულობებს,
მათგან **სანამდე/სანამდის**, **მანამდე/მანამდის** სწორი ფორმებია. დანარჩენი
კი (**სანამდე**, **სანამდინ**, **სანამდისინ**, **მანამდე**, **მანამდინ**, **მანამდისინ**) უარ-
საყოფია, არ უნდა ვიხმაროთ.

თანდებულობანი ფორმის გამოყენება ზოგჯერ უმჯობესი და აუცი-
ლებელია სტილისტიკურად. მაგ.: სანამ ვტყეპნოთ ერთი ადგილი
(„სოფლ. ცხოვრ.“).

აჯობებდა: **სანამდის** ვტკეპნოთ ერთი ადგილი.

ესე იგი:

1. **სანამ** დროის კავშირი დამოკიდებულ წინადადებაშია, მისი კორელატი **მანამ** კი — მთავარში. უმართებულოა და უარსაყოფია მათი ადგილების შეცვლა (**სანამ**-ის დასმა მთავარში, და **მანამ**-ისა — დამოკიდებულში).

2. **სანამ** — **მანამ** წყვილის ნაცვლად **სანამ** — **სანამ**-ისა ან **მანამ** — **მანამ**-ის ხმარება დღეს დიალექტიზმია და ამდენად უარსაყოფია.

3. „**მანამდის**“, „**იმ დრომდის**“ მნიშვნელობით უნდა ვიხმაროთ **მანამ** და არა **სანამ**.

4. -**მდე** თანდებულის ფორმათაგან მისაღებია **სანამდე/სანამდის**, **მანამდე/მანამდის** ფორმები. რაც შეეხება **სანამდი**, **სანამდინ**, **სანამდისინ**, **მანამდი**, **მანამდინ**, **მანამდისინ** ფორმებს — უარსაყოფია.

5. დიალექტიზმია და უარსაყოფია **სინამ** — **მინამ** სახეობაც.

ბ) ხდება კორელატთა აღრევა.

ხშირად ირევა **მიტომ** და **მისთვის** კორელატები, თუმცა ისინი შინაარსობრივადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათი გამოყენების ფარგლებიც საესებით გარკვეულია. **მიტომ** იხმარება მაშინ, როცა მიზეზია გადმოსაცემი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის არის მისათითებელი სიტყვა მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებისათვის; ხოლო **მისთვის** — როცა მიზნის გადმოცემა გვსურს, ე. ი. ის მთავარ წინადადებაში კორელატი ანუ მისათითებელი სიტყვაა მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებისათვის.

მაგ.: ქვემოთმოყვანილ წინადადებებში მიზეზი იგულისხმება და მართებულადაა ნახმარი **მიტომ** კორელატი:

უიარაღო რომა ვარ, მ ი ტ ო მ მიბრიყვებ ხესაო? (ვაჟა).

ჰოდა, რადგან ველარაფრით დაგაოკა,

მსუნავსა და აფმუცელას ციცხვიც მ ი ტ ო მ გაგალოკა (შ. შლემ.).

მაგრამ მიზანი იგულისხმება და ამდენად **მიტომ** კორელატის ხმარება აღარაა მართებული შემდეგ მაგალითებში:

მ ი ტ ო მ, რომ თვითონ იცოცხლოს, ადამიანმა სხვას უნდა მოუსპოს სიცოცხლე („მნათ.“).

სწორი იქნება: რათა თვითონ იცოცხლოს... ან: იმისათვის, რომ თვითონ...

ეს პატარა სტატისტიკა ი მ ი ტ ო მ დაგვიჩრდა, რომ უფრო ცხადად გამოჩნდეს დიდი სიძნელე („კომ.“).

უნდა: იმისთვის დაგვიჩრდა, რომ... გამოჩნდეს...

იმითომ მიხდა ცუდია, რომ შეჩვენებულ თუთასა გავაფრთხოვინო სულია (ვა-
ჟა).

რაც შეეხება მისთვის კორელატს, ის მართებულადაა ნახმარი შემდეგ
წინადადებაში:

ნუთუ ამ ქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო (ლ. ასათ.).

მაგრამ ამას ველარ ვიტყვით მისთვის კორელატის გამოყენების შემ-
დეგ შემთხვევებზე:

მუშა რომ ვარ, მისთვის ვიცი მუშის გულის პასუხები (ი. დავით).
ჩენის ქალი ყველა მთის ხალხის ქალებზედ თავისუფალია და მისთვისაც
ყველაზე პატიოსანი (ა. ყაზბ.).

მიყვარს ზღვა მზეში დაოქროილი
მისთვის რომ გული ტალღის ტოლია (გ. ლეონ.).

...თუ ყოველ დღის მძაფრი ქინი
ახალ სიმაგრეებს აგებს —
ეს მისთვის, რომ ჩვენ ლენინი
მუდამ წინსვლას გვიქადაგებს (გ. ტაბ.).

ეს ამბავი ჩვენმა ავტორმა მიაფუჩჩეხა უსათუოდ იმისათვის, რომ ამით აბ-
რუ გაუტყდებოდა ბაიერს (ილია).

ეს კაცი არ ვარგაო იმისათვისაო, რომ მტვრიან-მტვრიანი ტანისამოსი აც-
ვიაო (ილია).

ყველა ამ შემთხვევაში მიზეზი იგულისხმება, მიზეზი უნდა წარმო-
ჩნდეს, ამიტომ უნდა ვიხმაროთ არა მისთვის, არამედ იმიტომ, მიტომ
კორელატი.

სრულიად უმართებულად ერთმანეთის გვერდით ხმარობენ ზოგჯერ
მიტომ/მისთვის კორელატებს.

მაგალითად:

მიტომ გავგზარდა დედამა, მისთვის გვეტყოდა ნანასა,
ტანზე აბჯარი ავისხათ, მუდამ ვლესავედეთ დანასა (ვაჟა).
რისთვის გაიჭირეთ საქმე? რატომ არ დამიჭირეთ (ა. ყაზბ.).

გ). უადგილოდ ხმარობენ კორელატს.

რომ და რათა კავშირებს ერთგვარი ფუნქცია აკისრიათ — მიზნის
გარემოებითი წინადადების კავშირია ორივე. თანამედროვე სალიტერა-
ტურო ენაში რომ უფრო ხშირად გამოიყენება. რათა ძველი კავშირია —
რადთა ხშირად სახმარი, „შეიძლება ითქვას ერთადერთი კავშირია მიზნი-
თი შინაარსისა ძველ ქართულში“¹². იგი წიგნურ მეტყველებას შემორჩა
უფრო.

ერთი ფუნქციის ეს ორი კავშირი კორელატის მიმართ განსხვავებულ

¹² შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

დამოკიდებულებას იჩენს. სახელდობრ, რომ კავშირთან იხმარება მისთვის//იმისთვის კორელატი (მაგ.: „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა“), რათა კავშირთან კი კორელატი არ იხმარება. ე. ი. თუ მთავარ წინადადებაში გვაქვს მისთვის//იმისთვის, დამოკიდებული რომ კავშირით უნდა დავიწყოთ და არა რათა კავშირით.

ამ წესს ზოგჯერ არ იცავენ. მაგ.:

მაქარ ჭუბაბრია მხოლოდ იმისთვის არ მოსულა, რათა ბრძოლის ველზე მიმავალ ერთადერთ შვილს გამოთხოვებოდა („ახ. ცხოვრ.“).

რადგან მთავარ წინადადებაში იმისთვის კორელატი იხმარეს, დამოკიდებულში კავშირად უნდა გამოეყენებინათ რომ და წინადადება სტილისტიკურად გამართული იქნებოდა: ...იმისთვის არ მოსულა, რომ... შვილს განოსთხოვებოდა.

იმისათვის, რათა აღეზარდოთ კარგი და ძლიერი ნაზარდი, საჭიროა ვაწარმოოთ ყლორტების დანორმება („ახ. ცხოვრ.“).

უნდა იყოს: იმისათვის, რომ აღეზარდოთ...

ან: რათა აღეზარდოთ...

ეს საფეხბურთო ანბანი იმისთვის გავიხსენეთ, რათა ერთხელ კიდევ გამოგვეთქვა გაკვირვება მექარის თამაშის გამო („კომ.“).

უნდა იყოს: იმისთვის გავიხსენეთ, რომ... გამოგვეთქვა გაკვირვება...

ან: გავიხსენეთ, რათა გამოგვეთქვა გაკვირვება...

გვხვდება პირუკუ შემთხვევებიც: მთავარ წინადადებაში კორელატი არა გვაქვს, დამოკიდებულში კი მოსალოდნელი რათა კავშირის ნაცვლად რომ-ს იყენებენ.

მაგალითად:

კიდევ უფრო გავაძლიერებთ შრომის ტემპს, რომ ყოველი თვის გეგმა გადაჭარბებით შევასრულოთ („კომ.“).

აჯობებდა: გავაძლიერებთ... ტემპს, რათა... გეგმა გადაჭარბებით შევასრულოთ.

აქაური მვენახეები ენერგიულად შრომობენ, რომ საქმით უპასუხონ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი („კომ.“).

უნდა: ...შრომობენ, რათა საქმით უპასუხონ.

ზოგჯერ რათა კავშირს უმართებულად ხმარობენ რომ-ის ადგილას ვითარების გარემოებით წინადადებაშიც.

მინდა დავარწმუნოთ, რომ ვიშრომებ ისე, რათა ჩემი ხელიდან გამოსული ყველაფერი ძალიან გავდეს ახალგაზრდულს („ცისკ.“)

უნდა: ვიშრომებ ისე, რომ... ყველაფერი ჰგავდეს ახალგაზრდულს.

რათა მიზეზის გარემოებით წინადადებაშიც შეგვხვდება რადგან კავშირის ნაცვლად:

ბევრმა მრავალმხრივ ნიჭიერმა ადამიანმა ჭადრაკის სიყვარულის გამო სხვა სფეროში მუშაობა შეწყვიტა, რათა ძალების გაფანტვა არ სურდა („კომ.“).

რათა... გაფანტვა არ სურდა შეუძლებელი სიტყვათშეხამებაა. უნდა ეთქვათ: **რათა** არ გაეფანტათ ძალები ან: **რადგან** ძალების გაფანტვა არ სურდათ. მთავარი წინადადების შემასმენლით გადმოცემული მოქმედების მიზეზია ასახსნელი და მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში **რადგანაც** კავშირი უნდა გამოვიყენოთ.

ასევე უმართებულოა **რათა**-ს გამოყენება დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში:

რენტგენოგრაფების სწორი ახსნა-განმარტებისათვის საჭიროა, რათა სურათი აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ მოთხოვნებს („თბილ.“).

უნდა: ...საჭიროა, რომ სურათი აკმაყოფილებდეს... მოთხოვნებს.

ვფიქრობთ, რთული წინადადების კავშირთა ხმარებაში შენიშნული ზემოგანხილული რამდენიმე შემთხვევაც კი საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ აზრის ნათლად გადმოსაცემად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კავშირთა მართებულად გამოყენებას.